ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 103

ქ. ქუთაისი

4 ივლისი 2017 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412675396; ტელ: 0231 25-37-00) და მეორეს მხრივ ი/მ გიორგი სვინტრაძე ს/ნ 60001148928 იმის: ქ.ქუთაისი ევდოშვილის 8 შეს #5(შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ბალანსზე რიცხული ავტომობილისათვის OPEL (IBG778) დანართი #1 ში მითითებული სათადარიგო ნაწილებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 50112200) (შემდგომში მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500(ხუთასი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი ნანა ლორთქიფანიძე.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ქუთაისი, ევდოშვილის 8 შეს #5

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" AMAGAMATION OF KUTAISI PUBLIC NURSERY GARDENS OF GEORGIA. NNLE 412675396

---

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი:
ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“

მის.: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ#3
საიდენტიფიკაციო კოდი 412675396

ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორი:
ნანა ლორთქიფანიძე

მიმწოდებელი:
ი/მ გიორგი სვინტრაძე

მის.: ქ. ქუთაისი, ევდოშვილის 8 შეს #5
საიდენტიფიკაციო კოდი 60001148928
„საქართველოს ბანკი“

ა/ა GE82BG0000000235202800

ი/მ
გიორგი სვინტრაძე

დანართი#1

სამუშაოს ჩამონათვალი

დასახელება		რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
საჭის მექანიზმის შეკეთება		1	50	50
ზეროების შეცვლა		2	10	20
ძრავის ღვედის შეცვლა		1	10	10
შარავოის შეცვლა		1	20	20
მშრალი რეზინების შეცვლა		2	10	20
წინა ცაბკის შეცვლა		1	30	30

სულ: 150 ლარი

სათადარიგო ნაწილები

დასახელება		რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
სალნიკი		1	20	20
ზერო		2	50	50
საჭის მექანიზმის ზეთი		2	15	30
ძრავის ღვედი		1	30	30
სუხოის რეზინები		2	10	20
შარავოი		2	25	50
წინა ცაბკა		1	120	120
დროსელი		1	30	30

სულ: 350 ლარი

ჯამური ღირებულება500 (ხუთასი) ლარი.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

GEORGIAN ACADEMIC AMALGAMATION OF KUTAISI PUBLIC NURSESERIES
41267539 6

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ქუთაისი 6 ივლისი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა - ბაღების გაერთიანება" (შემდგომში "შემსყიდველი")წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ გიორგი სვინტრაძე ს/ნ 60001148928 მის: ქ.ქუთაისი ევდოშვილის 8 შეს #5(, ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2017 წლის 4 ივლისის №103-ე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, შემსიყველის მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყო ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" კუთვნილი ავტომობილისათვის Opel Astra H (სახ ნომ #IBG-778) დანართი #1 ში მითითებული სათადარიგო ნაწილებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა.

ხელშეკრულების ღირებულებაა 500 (ხუთასი) ლარი.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე: მივიღე:

გიორგი სვინტრაძე ნანა ლორთქიფანიძე

412675396